პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 31 (10728) | ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ. დილის 10 საათზე გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომა; 13 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა. ორივე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ.

16 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მოსმენილ იქნა ამხ. მ. გ. პერვუხინის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

## გავაძლიეროთ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ამომრჩეველთა შორის

ჩვიდმეტ მარტს საქართველოს მშრომლები განახორციელებენ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებულ დიად უფლებას — თავიანთ წარმომადგენლებს აირჩევენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა პარტიის XX ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვაში დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. საარჩევნო კამპანია დაემთხვა იმ შესანიშნავ დღეებს, როცა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში უდიდესი ძალით ჩაღდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა მზარდ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, მთელი ძალები დარაზმონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გადაუდებელი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. ამ ამოცანების გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საარჩევნო კამპანია, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების წარმატება დიდად არის დამოკიდებული მასებში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, ამომრჩეველთა შორის საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებაზე. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა საარჩევნო კამპანიაში.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ბევრგან კიდევ უფრო გაცხოველდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის. არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნებისთანავე პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგა ამომრჩეველთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას, შექმნა აგიტპუნქტები, მნიშვნელოვნად გაზარდა აგიტატორთა რაოდენობა, გამართა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი, მოაწყო აგიტატორების, აგიტპუნქტთა გამგეების, ძირეული პრესისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების ზონალური თათბირები.

ამ დღეებში ამომრჩეველთა შორის დიდ მუშაობას ეწევიან ქუთაისის მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა გამართა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, მოაწყო აგიტატორთა სემინარი, რომლებზეც განიხილეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხები. ბევრი აგიტპუნქტი გემოვნებით არის მოწყობილი საჭირო ავეჯითა და ინვენტარით, პლაკატებითა და მოწოდებებით, უზრუნველყოფილია გათბობითა და განათებით, მომარაგებულია სათანადო ლიტერატურით და ნაყოფიერ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა ამომრჩეველთა შორის. საავტომობილო ქარხნის, მაუდის ფაბრიკისა და ქალაქის სხვა საწარმოთა ტერიტორიებზე მდებარე აგიტპუნქტებში, დიდი გამოცოცხლებაა საღამოობით. აქ ამომრჩევლები იმისათვის მოდიან, რომ წაიკითხონ ახალი ჟურნალ-გაზეთები, მოისმინონ აგიტატორთა საუბრები, ლექციები და მოხსენებები.

არჩევნებისათვის მზადებაში უაღრესად დიდია აგიტპუნქტის როლი და მნიშვნელობა. იგი საარჩევნო უბანში პოლიტიკური მუშაობის ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. თბილისის ლენინის რაიონის პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ აგიტპუნქტში დაწესებულია აგიტატორთა მორიგეობა, ეწყობა თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები და ამომრჩეველთა შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, იმართება საღამოები ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის. აგიტპუნქტში და მოსახლეობაში ეწყობა ლექციები და მოხსენებები საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილ სახალხო ხასიათსა და მის უდიდეს უპირატესობებზე ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შედარებით, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლზე, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების და არჩევნების დებულების შესახებ.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები შეუწყნარებლად აგვიანებენ ამომრჩეველთა შორის საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღებას. როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ გორში მოწვეულ ზონალურ თათბირზე გამოირკვა, ხაშურის, კასპის, ქარელის, ბორჯომისა და სხვა რაიონების ბევრ სოფელში პოლიტიკური აგიტაცია ჯერ კიდევ არ მოიცავს ყველა ამომრჩეველს. ამომრჩეველთათვის არ ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები. ხშირად აგიტატორები თავიანთ საუბრებს არ უკავშირებენ რესპუბლიკის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს.

როგორც ჩოხატაურის რაიონიდან გვატყობინებენ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკური აგიტაციის აშკარა შეუფასებლობას იჩენს. პირველ რიგში ეს შეეხება სოფელ იანეულის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც აქამდე არ მიუღია ზომები ამომრჩეველთა შორის საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღებისათვის. აგიტპუნქტი ფორმალურად არის შექმნილი და დღემდე არავითარ საქმიანობას არ ეწევა.

წინა არჩევნებში პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ეს გამოცდილება ახლა მთლიანად უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა პოლიტიკური აგიტაცია ამომრჩეველთა შორის ვაწარმოოთ დიფერენცირებულად, ამომრჩეველთა ასაკის, გამოცდილების, პოლიტიკური და კულტურული დონის გათვალისწინებით. ამომრჩევლებთან მუშაობის გასაძლიერებლად უნდა გამოვიყენოთ ბოლშევიკური აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება: მშრომელთა კრებები და მიტინგები, მოხსენებები, ლექციები და საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, წარმოების ნოვატორებთან შეხვედრები.

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების უპირველესი მოვალეობაა ღრმად და გასაგებად განუმარტონ მოსახლეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა, დარაზმონ მასები საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის საბრძოლველად. მთელი საagიტაციო-მასობრივი მუშაობა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ცხოვრებას, რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს.

კარგად ორგანიზებული, ღრმაშინაარსიანი საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაჩაღება მასებში მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის განუხრელი ზრდის, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით მომზადებისა და ჩატარების გადამწყვეტი პირობაა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს რწმუნების სიგელები გადასცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტ. გედემ

4 თებერვალს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ტ. გედე, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩმა ტ. გედემ და კ. ე. ვოროშილოვმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვს ტ. გედესთან ჰქონდა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. თ. გორკინმა და ნ. ს. პატოლიჩევმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

5 თებერვალს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეზე აღიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალამი. აქ მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

დილის 10 საათზე გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი.** 13 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი.**

სხდომათა დარბაზში, გარდა დეპუტატებისა, იყვნენ მრავალი სტუმარი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

პალატების სხდომებს ესწრებოდნენ ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი,** რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ გააკეთა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. დ. ნაზარენკომ.** მან აღნიშნა, რომ მეხუთე და მეექვსე სესიებს შორის პერიოდში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოხდა ოთხ საარჩევნო ოლქში. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ყუბის № 158 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია თალიბ-ზადე აბდულა შაიკ მუსტაფა ოღლი, ყაზახეთის სს რესპუბლიკის აქტიუბინსკის № 105 საარჩევნო ოლქში — ჟ. ა. ტაშენევი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ტაჯიკაბადის № 277 საარჩევნო ოლქში — მ. რახმატოვი, მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქის იშკაშიმის № 589 საარჩევნო ოლქში — ა. ვ. მაზაევი.

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭომ ერთხმად ცნო ახლად არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

კავშირის საბჭოს სხდომაზე მოხსენება ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შესახებ გააკეთა კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. დ. მუსტაფაევმა.** მან აღნიშნა, რომ 1956 წლის ივლისიდან 1957 წლის თებერვლამდე კავშირის საბჭოს არჩევნები გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად მოხდა ექვს საარჩევნო ოლქში. ირკუტსკის № 165 ჩრდილოეთის საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია ბ. ნ. კობელევი, სოროჩინსკის № 352 საარჩევნო ოლქში — ს. ა. მანაკოვი, მიტიშჩის № 21 საარჩევნო ოლქში — ნ. ფ. იგნატოვი, ბრიანსკის № 121 საარჩევნო ოლქში — ა. მ. რედკინი, ნოვოგრუდოკის № 549 საარჩევნო ოლქში — პ. უ. ბროვკა, სიმფეროპოლის № 210 სასოფლო საარჩევნო ოლქში — ა. ვ. გოსტრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭომ ერთსულოვნად ცნო ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებანი.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალცალკე სხდომებზე დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

განხილულ იქნება შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი 1957 წლისათვის.
2. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის.
3. საოლქო და სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის.
4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების დამტკიცება.
5. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს არჩევა.
6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
7. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები.

ეროვნებათა საბჭომ, გარდა ამისა, დღის წესრიგში შეიტანა საკითხი ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის შექმნის შესახებ.

## ფეროშენადნობთა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

**ჩელიაბინსკი,** 3 თებერვალი. (საქტეს). აქ დამთავრდა ფეროშენადნობთა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ და მეტალურგთა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ. თათბირში, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ საქართველოს, ყაზახეთის, ციმბირისა და ურალის ფეროშენადნობთა ქარხნების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და წარმოების მოწინავეები, აგრეთვე საკვლევი ინსტიტუტებისა და საპროექტო ორგანიზაციების მეცნიერი მუშაკები.

თათბირმა მოისმინა და განიხილა ოცზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია ფეროშენადნობთა მეტალურგიული მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი დარგის წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა გაუზიარეს ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება, დასახეს ღონისძიებანი ფეროშენადნობთა წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

## მოსკოვის მშენებელთა კრება

4 თებერვალს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მოსკოვის მშენებელთა დიდი ჯგუფისათვის მთავრობის ჯილდოების გადაცემას. კრებას დაესწრო 11.000-ზე მეტი კაცი. კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ე. ა. ფურცევა, მოსკოვის მშენებლობათა ნოვატორები, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ე. ა. ფურცევამ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხანაგმა ა. თ. გორკინმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მოსკოვის საბინაო მშენებლობის ტრესტის ლენინის ორდენით და ტრესტ „სტროიტელის“ და „მოსოტდელსტროის № 1 ტრესტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ტაშის გრიალში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა გადასცა ორდენები დაჯილდოებული კოლექტივების წარმომადგენლებს, უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი მუშაობაში. ლენინის ორდენი მიიღო მოსკოვის საბინაო მშენებლობის ტრესტის მმართველმა ე. ე. ნიკონოვმა, შრომის წითელი დროშის ორდენები — ტრესტ „სტროიტელის“ მმართველმა პ. ს. ისაევმა და „მოსოტდელსტროის“ № 1 ტრესტის მმართველმა გ. ნ. კულეშოვმა.

შემდეგ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვით მიმართა დამსწრეთ.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს მოსკოვის საბინაო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ს. ვ. ეპიხოვმა, „მოსსტროის“ № 17 ტრესტის 78-ე სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა ი. ს. ფადეევმა და სხვ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი (საქტეს).

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

### მანქანათმშენებლებმა იკისრეს სამთო ტრაქტორების გამოშვება

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა რუსთავის მეტალურგთა მიმართვა და გადაწყვიტა 1957 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად ჩაებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მანქანათმშენებლებმა საერთო-საქარხნო კრებაზე პირობა დადეს, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების 1957 წლის გეგმას შეასრულებენ 20 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე გამოუშვებენ 300 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას გეგმით გათვალისწინებულზე 2 პროცენტის გადამეტებით, ფართოდ გააჩაღებენ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

გარდა ამისა, მანქანათმშენებლებმა იკისრეს პროდუქციის ახალ სახეობათა ათვისება და გამოშვება, კერძოდ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის მეტად საჭირო სამთო ტრაქტორების, ჩაის საკრეფი მანქანების და სხვა საჭირო მანქანების, აპარატებისა და მოწყობილობის გამოშვება.

### ზესტაფონელ მეტალურგთა ვალდებულებები

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა რუსთავის მეტალურგთა მოწოდების პასუხად გადაწყვიტა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 850 ტონა ფეროშენადნობი, დაზოგოს 900.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია და გეგმასთან შედარებით 0,2 პროცენტით შეამციროს მზა ფეროშენადნობთა თვითღირებულება, ხოლო შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით 0,5 პროცენტით აამაღლოს და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით გაწიოს 900.000 მანეთის ეკონომია.

ამასთან ზესტაფონელმა მეტალურგებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხანასთან.

### შეჯიბრებაში ებმებიან ტყვარჩელის მეშახტეები

ტყვარჩელი. (საქ. კორ.). ერთსულოვნად მოიწონეს რუსთავის მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა ტყვარჩელის მეორე შახტის მეშახტეებმა. მათ გადაწყვიტეს წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 4.000 ტონა ქვანახშირი, მათ შორის 7 ნოემბრისათვის — 3.000 ტონა, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გაძლიერებით უზრუნველყონ წლიური დავალების 102 პროცენტით განაღდება, სტანდარტთან შედარებით 0,1 პროცენტით შეამცირონ მოპოვებული ქვანახშირის ნაცრიანობა, გეგმით გათვალისწინებულზე 0,1 პროცენტის გადამეტებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

მეშახტეებმა გადაწყვიტეს ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით მიმდინარე წელს გაწიონ სულ ცოტა 120 ათასი მანეთის ეკონომია.

მეორე შახტის კოლექტივმა მიიღო ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის გამოწვევა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

ტყვარჩელის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც რუსთავს ქვანახშირის კონცენტრატით ამარაგებს, იკისრა დიადი დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20 ათასი ტონა ქვანახშირი, ხოლო წლის ბოლოსათვის — 24 ათასი ტონა, ამავე დროისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2.000 ტონა კონცენტრატი, ხოლო წლის ბოლოსათვის — 2.400 ტონა კონცენტრატი და ხარისხის გასაუმჯობესებლად, რასაც მისგან მეტალურგები მოითხოვენ, კონცენტრატის ნაცრიანობა შეამციროს 0,1 პროცენტით. აამაღლოს შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით. გამაუხვებლებმა გადაწყვიტეს სათბობის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით შეამცირონ.

გამაუხვებლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ტყიბულის ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივი.



მახარაძე. აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც აქტიურად ჩაება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ნერგავს შრომის მოწინავე მეთოდებს. **სურათზე:** მოწინავე მუშა ლ. კალანდაძე ძაფის გადახვევის გაუმჯობესებულ ხერხს განუმარტავს ახალმოსულ რ. კუშნირს.

ფოტო შ. გოქაძისა.

### მეტი პროდუქტები სამშობლოს

ზუგდიდი. (საქ. კორ.). მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ წითელწყაროელთა მიმართვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის მშრომელებში.

წითელწყაროელთა მაგალითისამებრ ცაიშელმა კოლმეურნეებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ცაავამ პირობა დადო 15 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 4 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ლ. სილაგავას ვალდებულებაა 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 6 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა წელსაც განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება სოფელ ოქტომბრის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან. კოლმეურნეობის ვალდებულებაა წელს გეგმით გათვალისწინებული 275 ტონის ნაცვლად მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 335 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, დათესოს 225 ჰექტარი სიმინდი და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 18 ცენტნერი ნაცვლად 16 ცენტნერისა. პროგრესული მეთოდით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს 60 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 50 ცენტნერი სიმინდი, შარშანდელთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა გაზარდოს 200 ლიტრით.

### შეჯიბრება გაჩაღდა

ხაშური. (საქ. კორ.). ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სოფლად. სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად იკისრეს წელს 79 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 11,5 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერისა, 93 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 2 ცენტნერით გადააჭარბონ სიმინდის მოსავლიანობის დავალებას, მნიშვნელოვნად გაზარდონ შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდების მიზნით იტრიელი კოლმეურნეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფელ ბიჯნისის კოლმეურნეობასთან.

# თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ანგარიში

გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მეხუთე მოწვევის) მე-8 სესია. [illegible]

ლეჯო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საერთო მშენებლობის ტრესტი № 1, „საქშახტმშენი", საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ცეკავშირი და სხვ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის. მთელ რიგ შენობებს მოუთავებელს აბარებენ. ცოტაა საცხოვრებელი სახლების ტიპური პროექტები. სუსტად იყენებენ ინდუსტრიულ მეთოდებს. საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და დაჩქარებისათვის საკმაოდ არ იყენებენ ქალაქის საწარმოთა შესაძლებლობებს. საცხოვრებელი სახლების რემონტი ბევრ შემთხვევაში დაბალხარისხოვნად წარმოებს. ნაკლები ყურადღება ექცევა ქუჩების მოკირწყვლას, მოასფალტებას, განათებას ქალაქის განაპირა უბნებში.

თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა ითვალისწინებს საბინაო მშენებლობის, კეთილმოწყობის, გამწვანების, მოსახლეობის კულტურული და სამკურნალო მომსახურების გაუმჯობესების ახალ დიდ სამუშაოებს. კაპიტალური მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ხარჯები ყველა წყაროს მიხედვით მიაღწევს 236 მილიონ მანეთს. ეს 50 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1956 წელს. სამინისტროებთან, უწყებებთან და ინდივიდუალურ მენაშენეებთან ერთად გათვალისწინებულია 1957 წელს თბილისში აიგოს 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ფართობი, რომელსაც საექსპლოატაციოდ გადასცემს საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ერთიორად და უფრო მეტი იქნება 1956 წელს ფაქტიურად გადაცემულ ფართობზე.

საცხოვრებელი შენობების მშენებლობა კონცენტრირებული იქნება გამსხვილებულ უბნებში, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სრული კეთილმოწყობით. უფრო ფართოდ განვითარდება ინდივიდუალური და საბინაო-კოოპერაციული მშენებლობა. 1957 წელს ქალაქი მიიღებს იმდენ წყალს, რამდენიც სავსებით დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

დაიწყება თბილისის გაზიფიკაცია ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის გათხევადებული გაზების ბაზაზე გაზბალონებით მომარაგების გზით. თავდაპირველად გაზგანმანაწილებელი სადგური გაზით უზრუნველყოფს 4.000 ბინას. იზრდება ელექტროქსელი, ქალაქის ელექტროტრანსპორტი. ქალაქს შეემატება ახალი სატრანსპორტო მაგისტრალი ვარაზისხევზე, სადაც გაიხსნება ტროლეიბუსის მოძრაობა. შენდება ორი აბანო, ახალი სკოლა 880 მოსწავლისათვის, მწვანე თეატრი ვაკის პარკში. დიდი სახსრები იქნება გაღებული საბინაო ფონდის რემონტისა და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა.

კამათში გამოსული დეპუტატები ამხილებდნენ აღმასკომის მუშაობის სერიოზულ ნაკლო-[illegible]

მუშების, კერძოდ, „საქმედიკოფერმშენის", სარემონტო-მექანიკური ქარხნის და მისი დაბის მუშების საყოფაცხოვრებო საჭიროებათა უკეთ დაკმაყოფილების საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა დეპუტატმა მ. ბურიამ.

დეპუტატმა ე. თავაძემ მოიყვანა იმის მთელი რიგი მაგალითები, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი განყოფილებების ცალკეული მუშაკები ფორმალურად ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს. მან ილაპარაკა მუდმივი კომისიების როლის გადიდებაზე.

საქალაქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმის პროექტის შესახებ.

შემდეგ მოხსენება „ქალაქ თბილისის სამრეწველო და კომუნალურ საწარმოთა კოლექტივების სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ 1957 წლისათვის" გააკეთა დეპუტატმა ვ. გომარელმა. მან ილაპარაკა დიდ შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომლითაც რესპუბლიკის დედაქალაქის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, თბილისის მთელ რიგ საწარმოთა ინიციატივაზე — გაჩაღონ ლატვიის სსრ დედაქალაქის რიგის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება. მოხსენების გამო გამოსულმა დეპუტატებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას და აღნიშნეს, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებენ ქალაქ რიგის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი, იმ ქალაქისა, რომელიც ცნობილია წარმოების მაღალი კულტურით, ორგანიზებულობითა და წესრიგით ქალაქის მეურნეობაში.

საქალაქო საბჭომ მხარი დაუჭირა სამრეწველო და კომუნალურ საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას — გამოწვეულ იქნან შეჯიბრებაში ქალაქ რიგის მშრომელნი. არჩეულია დელეგაცია ლატვიის სსრ დედაქალაქში გასამგზავრებლად.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

დეპუტატი ვ. დ. ეპიტაშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო განთავისუფლებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია დეპუტატი გ. ს. ვაშაკიძე.

დეპუტატი შ. ი. საბანაძე განთავისუფლებულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის და ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია დეპუტატი ი. მ. გეტაშვილი. იგი დამტკიცებულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსად. (საქინფორმი).

## სამეცნიერო სესია კოლმეურნეობაში

ქობულეთი. (საკ. კორ.). ამას წინათ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნა დოცენტ ს. გუნიას მოხსენება — „ამინდის პროგნოზები და მათი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის", სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატ შ. ცერცვაძისა — „ქობულეთის რაიონის აგროკლიმატური პირობები", დოცენტ გ. ჭირაქაძისა — „აჭარის სანაპიროს ბალნეოლოგიური და საკურორტო რესურსები", გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატების ი. ცუცქირიძისა და გ. ხმალაძისა — „ქობულეთის რაიონის რადიაციული პირობებისა" და „მდინარეთა რეჟიმის შესახებ".



კასპის რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი ე. დევსურაშვილი (მარცხნივ) და ლაბორანტი ა. ალიბეგაშვილი ამოწმებენ საგაზაფხულო ხორბლის სათესლე მასალის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საქართველოს მეშახტეთა მოწინავე კოლექტივები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ყველა შახტის კოლექტივები, რომლებიც ერთმანეთს უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში ეჯიბრებიან. 1956 წლის დეკემბრის განმავლობაში მეშახტეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებამ კიდევ უფრო წაახალისა ისინი ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

1956 წლის დეკემბრის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ მეორე ფულადი პრემია (42.000 მან.) მიანიჭეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს. მესამე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ: იმავე ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივს (28.000 მან.) და ტყვარჩელშახტმშენის სამშენებლო სამმართველოს (17.000 მან.).

1956 წლის მეორე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივს მიენიჭა მესამე ფულადი პრემია (40.000 მან.).

ინჟ. ი. ვარვარიძე.

## ელექტროშუქი სოფლად

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ელექტრობა ფართოდ იჭრება საკოლმეურნეო ცხოვრებაში. ახლა ელექტროენერგია ამოქმედებს მექანიზებული ფერმების მოწყობილობას, ხე-ტყის სახერხ ქარხნებს, წისქვილებს, ზეთსახდელ ქარხნებს. ელექტროშუქი ანათებს კოლმეურნეთა სახლებს. ილიჩის ნათურებმა გააშუქეს სასოფლო გზები, კლუბები, ბიბლიოთეკები. ბოლო ხანებში ელექტროფიცირებულ იქნა რაიონის კიდევ 7 სოფელი.

ამას წინათ სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი ელექტროწისქვილის მშენებლობა, რომელიც დღეღამეში 10 ტონა მარცვლეულს ფქვავს. გიორგეთელმა კოლმეურნეებმა ელექტროენერგიით აამუშავეს სახერხი ქარხანა.

ახლო მომავალში რაიონის სოფლები მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებიან ელექტროენერგიით.

# გამოვნახოთ და გამოვიყენოთ ყველა რეზერვი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის

★
კონფერენცია კონკრეტული ეკონომიკის საკითხზე
★

რამდენიმე დღის წინათ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში შედგა კონფერენცია ამ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხების განსახილველად. კონფერენციას დაესწრნენ თბილისელ ლოკომოტივშემკეთებელთა, მანქანათმშენებელთა, ლითონდამმუშავებელთა, მთელი რიგი საწარმოების, ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, წარმოების ნოვატორები და რაციონალიზატორები.

მოხსენება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებისა და საშუალებების, ამ მიზნით ადგილობრივი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. თ. ქვლივიძემ.

მოხსენებაში დაწვრილებით და მკაფიოდ იყო განმარტებული, თუ საერთოდ რა ელემენტებისაგან შედგება პროდუქციის თვითღირებულება, როგორ მოქმედებენ ეს ელემენტები (მზა პროდუქციის მისაღებად საჭირო ნედლეულისა და ძირითადი მასალების გასავალი, დამხმარე მასალების ხარჯვა, საწვავისა და ელექტროენერგიის ხარჯვა, ძირითად საწარმოო საშუალებათა ამორტიზაციის ინტენსივობა და ა. შ.) თვითღირებულების შემცირებაზე. მომხსენებელმა მეტად საინტერესო ცნობები მოიყვანა ჩარხმშენებელთა მუშაობის პრაქტიკიდან. მან აღნიშნა, რომ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას პროდუქციის მოცულობის მიხედვით რესპუბლიკის მანქანათმშენებელ ქარხნებს შორის მეორე ადგილი უჭირავს. ამიტომ აქ პროდუქციის თვითღირებულების ყოველი პროცენტით შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ საწარმოს ეკონომიკისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისთვისაც.

არ შეიძლება ითქვას, რომ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი ცუდად მუშაობდეს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. მარტო 1956 წელს ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის თვითღირებულება 5 პროცენტის ნაცვლად 5,1 პროცენტით შეამცირა და ამის შედეგად 242.000 მანეთი ეკონომია მოგვცა. ერთ-ერთი ძირითადი ნაწარმის — სერიული ჩარხის (1დ63ა) თვითღირებულება აქ უკანასკნელ 5 წლიწადში 36 პროცენტით შეამცირეს. თუ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ ზარშან გაწეულ მუშაობას შევადარებთ რესპუბლიკის სხვა მანქანათმშენებელი ქარხნების მუშაობას, აღმოჩნდება, რომ აქ ძირითად საწარმოო საშუალებათა თანხის ყოველ ერთ მანეთზე გამოშვებულია გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე სხვაგან.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩარხმშენებელთა ამ მოწინავე საწარმოში ძირითად საწარმოო საშუალებათა უკეთ გამოყენების ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ. თუ ქარხანაში მიაღწევენ იმას, რომ ამ საწარმოო საშუალებათა გამოყენებას 10 პროცენტით აამაღლებენ, ეს კი სავსებით შესაძლებელია, მაშინ ქარხნის კოლექტივი არსებული საწარმოო ფართობისა და დანადგართა პარკის გაუდიდებლად მოგვცემს სულ ცოტა 15 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქციას.

რა საშუალებები აქვთ ჩარხმშენებლებს პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების უზრუნველსაყოფად? ამ საკითხზე კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ქარხნის მთავარი ტექნოლოგის ვ. კოლოსოვსკის, მთავარი კონსტრუქტორის ლ. კულიკოვის, მთავარი მექანიკოსის ი. გერშკოვიჩის, ნოვატორის ი. უკოლოვის, ლითონმჭრელის გ. დოგუზაშვილის და სხვ. სიტყვები.

გამოირკვა, რომ ჩარხმშენებლებს შორის ჯერ კიდევ კარგად არ არის დაყენებული ლითონის მომჭირნეობისათვის ბრძოლა. მაგალითად, მზა პროდუქციის თვითღირებულებაში ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხვედრითი წონა შეადგენს 24 პროცენტს, მაგრამ თუ დეტალების ჩამოსხმის დროს ლითონის წონამეტობა ნაკლები რაოდენობით იქნება დაშვებული, ე. ი. დანაშვებებს შეამცირებენ, საწარმო ლითონის საგრძნობ ეკონომიას მიიღებს, რაც, ცხადია, მზა ჩარხების თვითღირებულების შემცირებასაც გამოიწვევს.

დიდი მნიშვნელობა აქვს თვითღირებულების შემცირების ისეთ მძლავრ რეზერვს, როგორიც არის რაციონალიზატორული აზრის მოშველიება. მაგალითად, ინჟინერმა ი. ქურდაძემ 1დ63ა ჩარხს შეუცვალა და გაუმარტივა მილისას კონსტრუქცია. მისი ეს წინადადება მიიღეს, წარმოებაში დანერგეს და ამან ქარხანას დაუზოგა 13 ტონა თუჯი და მისცა 38.000 მანეთი წლიური ეკონომია. მაგრამ, სამწუხაროდ, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას აღნიშნულ საწარმოში არასაკმაო ყურადღება ექცევა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებაში დანაკარგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას. მარტო 1956 წელს ამ ქარხანაში ლითონის დანაკარგებმა 6.900 ტონაზე მეტი შეადგინა.

ჩარხმშენებლებთან კოოპერირებულმა საწარმოებმა, კერძოდ ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქარხნის ხელმძღვანელებმა „ვერ მოიცალეს" დასწრებოდნენ ამ საყურადღებო კონფერენციას და არც თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს), მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საჩარხე დეტალების ჩამოსხმის საქმეს, აღკვეთონ წუნი თავიანთ მუშაობაში.

თვითღირებულების შემცირების მნიშვნელოვანი რეზერვია აგრეთვე შრომატევადი პროცესების მექანიზაციის ფართოდ განხორციელება. იმის გამო, რომ მთელი რიგი შრომატევადი პროცესები ზოგ საწარმოში, კერძოდ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ხელით სრულდება, საჭირო ხდება დამხმარე მუშათა შრომის ფართოდ გამოყენება. კიროვის სახელობის ქარხანაში ამ დამხმარე მუშათა რაოდენობა წარმოების მუშათა შორის 48,1 პროცენტს შეადგენს.

კონფერენციაზე გამოსული ორატორები ნ. დამოცოვი, ი. იარალოვი, ა. ბელიკოვი შეჩერდნენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სხვა გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინების საკითხებზე და აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საამქროებში სამუშაო დროის შემჭიდროებას, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, რაც ხელს შეუწყობს საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდას. განსაკუთრებით აღინიშნა იმის საჭიროება, რომ მოწესრიგდეს ნაწარმის ყოველი ერთეულის მიხედვით ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯვის ნორმატივების დადგენა და შემდეგ სხვადასხვა გაუმჯობესებათა განხორციელების მიხედვით ამ ნორმატივების კორექტირება.

კონფერენციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მნიშვნელობის შესახებ სიტყვით გამოვიდა დოცენტი ი. მიქელაძე.

დამსწრეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ უფრო ხშირად იქნას მოწვეული ასეთი საქარხანათაშორისო კონფერენციები წარმოების სხვადასხვა აქტუალური საკითხების განსახილველად, რაც დიდად დაეხმარება მათ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

## შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

წულუკიძე. (საკ. კორ.). წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა 1956 წლის მეოთხე კვარტალში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 118 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 18 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 3,17 პროცენტით და მიიღო 713 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

1956 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა. ამის გამო მას დაუტოვეს წინა კვარტალში მიღებული გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა ფაბრიკის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ პირველი კვარტალის საწარმოო დავალება გაანაღდოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის — 17 მარტისათვის.

# ჟურნალები კვლავ დაგვიანებით გამოდის

ჯერ კიდევ 1954 წელს პრესაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ზოგიერთი ჟურნალის რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მოუქნელი მუშაობა. ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ჟურნალების დროულად გამოცემის საქმეს. კრიტიკამ უდავოდ დადებითი როლი შეასრულა. ბევრმა გამომცემლობამ, სტამბამ და რედაქციამ ამ მხრივ რამდენადმე გარდაქმნა მუშაობა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ჟურნალის დიდი დაგვიანებით გამოსვლის შემთხვევები, რაც მკითხველთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. მაგალითად, თებერვალი უკვე დადგა, მაგრამ „მნათობის", „საქართველოს კოლმეურნის", „დროშის", „მეცნიერება და ტექნიკისა" და „პიონერის" იანვრის ნომრები ჯერაც არ გამოსულა. განსაკუთრებით უნდა ითქვას „საქართველოს კოლმეურნის" შესახებ. ჟურნალის 1956 წლის აპრილის ნომერი ერთი თვის დაგვიანებით დაურიგდა ხელის მომწერლებს, რაც იმის შედეგი იყო, რომ როგორც რედაქციამ, ისე სტამბამ (პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი") უხეშად დაარღვიეს მასალების მომზადების გრაფიკით გათვალისწინებული ვადები. რედაქციამ 10 დღით დააგვიანა მასალების ჩაგზავნა სტამბაში ასაწყობად. სტამბამ კი ჟურნალის ამ ნომრის დაბეჭდვასა და აკინძვას 17 დღე მოანდომა ნაცვლად 7-8 დღისა. ასევე დიდი დაგვიანებით გამოვიდა გასული წლის თებერვლის, მაისისა და ნოემბრის ნომრები, თავის დროზე კი არც ერთი ნომერი არ გამოსულა. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ რედაქცია უგულმოდ მუშაობს. იგი ხშირად აგვიანებს მასალების ჩაგზავნას სტამბაში, ხოლო სტამბა თავის მხრივ კიდევ უფრო აჭიანურებს დაკვეთის შესრულებას.

თავის დროზე გამოსვლის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს ჟურნალ „მნათობს", ვინაიდან მას არ სჭირდება ფერადი ბეჭდვა. მაგრამ, სამწუხაროდ, რედაქცია და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, სადაც ჟურნალი იბეჭდება, ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებენ. „მნათობის" გამოსვლა სისტემატურად იგვიანებს იმიტომ, რომ რედაქცია დიდი დაგვიანებით აბარებს მასალებს კომბინატს. მაგალითად, 1956 წლის ოქტომბრის ნომრის მასალები კომბინატმა რედაქციისაგან მიიღო 9 ოქტომბერს ნაცვლად 15 სექტემბრისა, ნოემბრის ნომრისა — 12 ნოემბერს, დეკემბრის ნომრისა — 6 დეკემბერს. ყოველივე ამის შედეგად აღნიშნული ნომრები ერთი თვის დაგვიანებით გავრცელდა. არც ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექცია იწუხებს თავს ჟურნალის დროზე გამოსვლისათვის. იგი ხშირად ჟურნალის დაგვიანებით გამოსვლაში ბრალს სდებს რედაქციას. მაგრამ საკითხავია: როდესაც რედაქციისაგან კომბინატმა მიიღო ყველა მასალა, ამის შემდეგ რაღა უშლის ხელს ჟურნალის გამოსვლას? — მხოლოდ და მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მოუქნელი მუშაობა. მაგალითად, „მნათობის" 1956 წლის მაისის ნომრის ტირაჟის აკინძვა კომბინატში გაგრძელდა 17 დღეს, მაშინ როცა ამისათვის საჭირო იყო 4-5 დღე, აგვისტოს ნომრისა — 14 დღეს, ნოემბრის ნომრისა—13 დღეს, ხოლო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1956 წლის ივლის-აგვისტოს ნომრის ტირაჟის აკინძვა კომბინატში 20 დღეს გრძელდებოდა.

ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი თავის დროზე გამოსვლა ისეთი ჟურნალებისა, როგორიც არის „მეცნიერება და ტექნიკა", „დილა", „პიონერი" და „დროშა". პირველ რიგში ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ სტამბების უყაირათო მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებათა აკადემიის სტამბამ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის" 1956 წლის იანვრის ნომრის მასალები რედაქციისაგან თავის დროზე ჩაიბარა, მან მაინც ვერ უზრუნველყო აღნიშნული ნომრის დამზადება გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, რის გამო ჟურნალი ხელისმომწერლებს დაურიგდათ ოცი დღის დაგვიანებით. ასეთი შემთხვევები სტამბის მუშაობაში იშვიათი როდია.

ჟურნალების დროულად გამოსვლას ზოგჯერ ხელს უშლის ისიც, რომ სტამბები არ მარაგდება საჭირო მასალებით (თუთია, ფოტოფირი, საღებავები და სხვ.). მართალია, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგების სამმართველომ უკანასკნელ ხანს ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო დროულად მოამარაგოს სტამბები სათანადო მასალებით. მაგალითად, გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში ფოტოცინკოგრაფია მომარაგებული არ იყო თუთიით, რის გამო დაბრკოლდა ჟურნალ „დროშის" მე-11 და მე-12 ნომრების გარეკანისა და ჩასაკვრელი გვერდების დამზადება.

რედაქციებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ დაგვიანებით გამოსული ჟურნალი ვერ უპასუხებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები კარგავენ აქტუალობას. მაგალითად, „საქართველოს კოლმეურნის" 1956 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულია ისეთი სტატიები და კორესპონდენციები, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მუშაკთა დარაზმვა საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მაგრამ განა შეეძლო ამ ამოცანის შესრულება თებერვლის ნომრის ჟურნალს, რომელიც აპრილში გავრცელდა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო. აღნიშნულ ნომერში ჟურნალი ასეთ გაფრთხილებას იძლევა: „გაზაფხული უკვე კარზე მოგვადგა (?). საჭიროა რაც შეიძლება რაციონალურად გამოვიყენოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მასობრივად დაწყებამდე დარჩენილი მცირე დრო (?). უქმად არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე და საათი". აშკარაა, რომ ასეთი დარიგება გროშადაც არ ღირს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფგამომცემლობის მთავარი სამმართველო სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ სტამბებისა და გამომცემლობებისადმი, რომლებსაც ჟურნალების გამოშვება ევალებათ. სამმართველოს მიერ ჯერაც არ არის შედგენილი ჟურნალების გამოცემის გრაფიკი 1957 წლისათვის.

მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში გამოვა ახალი ჟურნალები: „ჩვენი თაობა", „ლიტერატურნაია გრუზია" და „საბჭოთა მედიცინა". პოლიგრაფგამომცემლობის სამმართველომ რედაქციებთან ერთად აქედანვე უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად უზრუნველყოს აღნიშნული ჟურნალების გამოცემა. ამისათვის საჭირო იქნება შემუშავებულ იქნას სტამბაში მასალების ასაწყობად ჩაგზავნის, ბეჭდვისა და აკინძვის გრაფიკები და დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათ შესრულებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფოტოცინკოგრაფიას, რომლის ნორმალურ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ზოგიერთი ჟურნალის დროულად გამოსვლა. სამწუხაროდ, ფოტოცინკოგრაფიას დღემდე ისეთი მცირე ფართობი უჭირავს, რომ საშუალება არ არის დაიდგას ფერადი ილუსტრაციების საბეჭდი მანქანა, რომელიც ამჟამად ღია ცის ქვეშ არის. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და მისმა მომარაგების სამმართველომ დროულად უნდა იზრუნონ სტამბების მოსამარაგებლად საჭირო მასალებით.

რედაქციების, გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული ბაზის მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 18 ივნისის დადგენილება გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. ეს დადგენილება მათ ავალებს უზრუნველყონ ჟურნალების დროულად გამოსვლა და მათი ჩაბარება „სოიუზპეჩატის" ორგანოებისათვის.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ჟურნალების გამოცემის საქმეში.

ი. ტყეშელაშვილი,
საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: სამაცივრო კამერები (მარცხნივ) და საკომპრესორო განყოფილება.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.

## ახალი მაცივარი

ბათუმი. (საკ. კორ.). თევზჭერის ორგანიზაციები ყოველწლიურად ათეულათასობით ცენტნერ თევზს იჭერენ, ხოლო ბათუმის თევზის ქარხანა მას ამუშავებს და მრავალი სახის პროდუქციას იძლევა.

ამას წინათ დამთავრდა თევზის ქარხნის მძლავრი მაცივრის მშენებლობა. მაცივრისა და ყინულის ქარხნის ერთ კორპუსში მოთავსებისა და გაერთიანების შედეგად მშენებლებმა მაცივრის ტევადობაც გაადიდეს და ათეულათასობით მანეთიც დაზოგეს.

მაცივარი შედგება ორი კამერისაგან, რომლებიც ერთდროულად 5 ტონა თევზს იტევენ. კამერებში თევზი 8 საათში იყინება ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 12 საათისა. ეს მიღწეულია მილებისა და თერმოიზოლატორის კარგად დადგმის გზით. გაყინული თევზი გადადის შესანახ კამერებში, რომლებიც ერთდროულად 200 ტონა თევზს იტევენ ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული 100 ტონისა.

* * *

### საანგარიშო კრება კოლმეურნეობაში

# გავადიდოთ შრომის ანაზღაურება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება

სანიორელმა კოლმეურნეებმა სახელოვნად დაამთავრეს მეექვსე ხუთწლედის პირველი წელი. საანგარიშო კრებაზე, რომელიც კოლმეურნეობის კლუბში გაიმართა, საკოლმეურნეო შრომის ნამდვილი ზეიმი იყო. თავმჯდომარემ, ამ სოფლის მკვიდრმა ა. ჩარგალიტოვმა მოხსენებაში კოლმეურნეობის გამგეობის 1956 წლის მუშაობის შესახებ თქვა:

— პარტიისა და მთავრობის უდიდესმა ზრუნვამ კოლმეურნეებისათვის სასიხარულო შედეგი გამოიღო. გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დავამთავრეთ. ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში წამყვანია მევენახეობა. ფულადი შემოსავლის 82 პროცენტს ამ დარგიდან ვიღებთ. ერთი ჰექტარი ვენახი 50 ათას მანეთზე მეტ შემოსავალს გვაძლევს. ამიტომ არის, რომ მევენახეობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ამჟამად 115 ჰექტარი ვენახი გვაქვს. 1960 წლისათვის კი 150 ჰექტარი გვექნება. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა.

ამხ. მარგალიტოვმა კრებას სხვა დარგების შესახებაც მოახსენა. სანიორელებმა გასულ წელს გადამეტებით შეასრულეს ხორბლის მოსავლიანობის დავალება. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე ათი ცენტნერი ხორბალი უნდა მიეღოთ. ფაქტიურად 13 ცენტნერზე მეტი მოიყვანეს. წინა წელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე ოთხი ცენტნერით გაადიდეს. შარშანწინდელთან შედარებით გასულ წელს თვითეული ძროხის წველადობა ორასი ლიტრით გაზარდეს.

სანიორელებს შარშან ერთი ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე დაეხარჯათ 3,5 შრომადღე და ფულად 8 მანეთი. ეს წინა წელს დახარჯულზე 25 პროცენტით ნაკლებია. 15-20 პროცენტით გააიაფეს ხორბლის, სიმინდის, რძისა და ხორცის წარმოება. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი რეზერვები აქვთ იმისათვის, რომ პროდუქციის თვითღირებულება უფრო შეამცირონ.

მევენახეობის მერგოლურმა დ. ბიტიაშვილმა კრებაზე განაცხადა:

— სიმეჩხრის გამო ჩვენს ვენახებში გამცდარი ფართობი დაახლოებით ათ ჰექტარს შეადგენს. ეს მოსავლიანი ვენახის ერთი მეშვიდედია. გაცდენილ ფართობს ვამუშავებთ, მოსავალს კი ვერ ვიღებთ, ყოველწლიურად ათას ცენტნერამდე ყურძენს ვკარგავთ. ცხადია, ამის შედეგად ყურძნის თვითღირებულება იზრდება. 2-3 წელიწადში უნდა მივაღწიოთ სიმეჩხრის ლიკვიდაციას. სასაყვედურო გვაქვს ნაფარეულის მტს-თან. „კდ-35" მარკის ერთი ტრაქტორი, რომელიც ორ კოლმეურნეობას ემსახურება, სამუშაოს ვერ აუდის. ხშირად ვენახების რიგთა შორის ხვნა ცხენის გუთნებით გვიხდება. ეს კი დიდ შრომას მოითხოვს.

კოლმეურნეობას თეთრი მსხვილი ჯიშის ღორის საჯიშე ფერმა აქვს. გოჭების მიღება-გაზრდის გეგმა ყოველწლიურად გადამეტებით სრულდება. შარშან თვითეულ დედაღორზე 19 გოჭი მიიღეს და გაზარდეს. მიუხედავად ამისა, ფერმა მაინც ზარალიანია. თვითეული ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებაზე, გარდა ფულისა, 58 შრომადღე დაიხარჯა. ეს ფულად გამოხატულებაში 2.300 მანეთზე მეტია. თუ ამას მივუმატებთ 47 ტონა კონცენტრირებული საკვების (ამდენი დასჭირდებათ ღორებს) ღირებულებას, გამოდის, რომ სანიორელებს ერთი კილოგრამი ღორის ხორცის წარმოება 35 მანეთი დაუჯდათ.

კოლმეურნეებმა თ. თათულოვმა, ა. მელიქოვმა, გ. აივაზოვმა და სხვებმა ილაპარაკეს პროდუქციის წარმოების გაიაფების ღონისძიებებზე. მათ დააყენეს საკითხი, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმებს ჰყავდეთ ერთი გამგე. იგი ადვილად შეძლებს ხელმძღვანელობას. ამ ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში კოლმეურნეობა ყოველწლიურად ორი ათასამდე შრომადღეს დაზოგავს.

სანიორელები კმაყოფილი არიან შარშანდელი შრომის ანაზღაურებით. თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 13 მანეთი ფულად, 1,5 კილოგრამი მარცვლეული, 1,4 ლიტრი ღვინო, აგრეთვე არაყი, ყველი, ზეთი და სხვა პროდუქტები. ს. აივაზოვის ოჯახმა შრომადღეებზე მიიღო ორი ტონა მარცვლეული, 2.485 ლიტრი ღვინო, 14.880 მანეთი ფულად და სხვ. ასევე დიდი შემოსავალი მიიღეს დ. აივაზოვის, დ. ბიტიაშვილის, ა. მელიქოვისა და სხვების ოჯახებმა.

კოლმეურნეობასა და მტს-ს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების შედეგებზე მოხსენება გააკეთა ნაფარეულის მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. გოგიძემ.

კრებამ, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კრების მიერ მიღებულ დადგენილებაში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობის უზრუნველყოფასთან ერთად დიდი ადგილი უკავია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებს.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## აცილებენ ღვაწლმოსილ პედაგოგებს

ამ ცოტა ხნის წინათ საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნა მხცოვანი მასწავლებლების ლენინის ორდენოსან გაბრიელ დუჩიძისა და გიორგი ნამორაძის პენსიაზე გასვლა.

საზეიმოდ მორთულ კლუბის შენობაში თავი მოიყარეს სართიჭალის ორივე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, კოლმეურნე გლეხობამ, სოფლის ინტელიგენციამ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ბედოიძემ, მოხსენება გ. დუჩიძისა და გ. ნამორაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ისტორიის მასწავლებელმა ს. გენგაშვილმა.

გ. დუჩიძე 36 წელი პირნათლად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს, რისთვისაც მშრომელებში მან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ასეთივე პატივისცემით სარგებლობს გ. ნამორაძეც.

საღამოზე მრავალი გულთბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოითქვა. დასასრულ მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

ხ. არჩემაშვილი.

## დისკუსია ქართული მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი აკადემიის სხდომათა დარბაზში 7 და 8 თებერვალს აწყობს საჯარო დისკუსიას თემაზე: „ქართული მხატვრული ლიტერატურა 1956 წელს".

მოხსენებას 1956 წლის ქართული პროზის შესახებ წაიკითხავს ბ. ჟღენტი, ქართული პოეზიის შესახებ — ა. ხინთიბიძე და გ. ხერხეულიძე, ქართულ დრამატურგიაზე — გ. ციციშვილი, საბავშვო ლიტერატურაზე — თ. ჯიბლაძე.

დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და მეცნიერები.

## თავმჯდომარემ კოლმეურნეთა იმედი ვერ გაამართლა

სოფელ ქვიანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს" დიდი რეზერვები აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობისათვის, მაგრამ ეს სასოფლო-სამეურნეო არტელი ყველაზე ჩამორჩენილია ლანჩხუთის რაიონში. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების რჩევით კოლმეურნეობაში ბევრი თავმჯდომარე შეიცვალა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ამ წლინახევრის წინათ ქვიანელმა მშრომელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ოცდაათათასელი ამხ. ნ. კიწმარიშვილი აირჩიეს. კოლმეურნეები დიდ იმედს ამყარებდნენ ახალ თავმჯდომარეზე. დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ იგი ღრმად ჩასწვდებოდა კოლმეურნეობის ეკონომიკას, შეისწავლიდა ჩამორჩენის მიზეზებს, უნარიანად გამოიყენებდა რეზერვებს, კომუნისტებზე და უპარტიო აქტივზე დაყრდნობით მიაღწევდა გარდატეხას მუშაობაში, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. პირიქით, საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგი დაღმავალი გზით წავიდა, არტელის საერთო შემოსავალმა იკლო.

იმის გამო, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ დაივიწყა სასოფლო-სამეურნეო არტელის შემოსავლის მთავარი წყაროს — ჩაის კულტურისათვის ზრუნვა, შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს მხოლოდ 9.400 კილოგრამი ნედლეული, მაშინ როცა გეგმა 12.000 კილოგრამს ითვალისწინებდა. მარტო მეჩაიეობიდან კოლმეურნეობას 37 ათასი მანეთი შემოსავალი დააკლდა. ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი პლანტაციების გაშენებას. გეგმით დაწესებული 7 ჰექტარის ნაცვლად მხოლოდ 3 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია გააშენეს.

მნიშვნელოვნად შემცირდა მოსავლიანობა. 1955 წელთან შედარებით 1956 წელს 4 ცენტნერით შემცირდა სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 16 ცენტნერით ნაკლები ყურძენი მიიღეს.

დიდი ნაკლოვანებებია საზოგადოებრივ მეცხოველეობაშიც. ამას მოწმობს მარტო ის ფაქტი, რომ 1955-1956 სამეურნეო წელს 1954-1955 წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 90 ლიტრით ნაკლები რძე მიიღეს. სურათი არც ახალ სამეურნეო წელს შეცვლილა.

თავმინებებულია მეღორეობაც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 184 ღორისა ჰყავთ 81. მეფრინველეობას სასხვათაშორისო დარგად თვლიან. — როგორ მოვიქცეთ, როცა ერთი კვერცხი 20 მანეთზე მეტი გვიჯდება, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. კიწმარიშვილმა.

კოლმეურნეობის დებიტორული დავალიანება 12.000 მანეთს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო არტელის ყოფილ თავმჯდომარეს ი. ჩხაიძეს ახლაც გადაუხდელი აქვს კოლმეურნეობის ვალი 1.900 მანეთი. ასეთი ფაქტები სხვაც არის. კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდში 400 მანეთი აქვთ. მიუხედავად ამისა, გამგეობის თავმჯდომარემ ნ. კიწმარიშვილმა ამას წინათ ნასესხები თანხით ახალი მარკის „მოსკვიჩი" შეიძინა.

კოლმეურნეობაში ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია. 93 კოლმეურნეს გასულ წელს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. სოფლის ბევრი ახალგაზრდა გაურბის საკოლმეურნეო შრომას. ასეთები არიან კომკავშირელები დ. ჯიბლაძე, მ. ფირცხალაშვილი, პ. ჯიბლაძე, ბ. ჯიბუტი, ქ. ჯიბლაძე და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიგადირების ვ. დოლიძის, ნ. ბურჭულაძის, ლ. დოლიძის, ქ. ფირცხალაშვილის ცოლები სრულებით არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. არ იგრძნობა კომუნისტების ავანგარდული როლი. პირველადი პარტიული ორგანიზაცია (ბიუროს მდივანი გ. ალექსაია) სათანადოდ არ ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობას და არ უწევს საჭირო კონტროლს მის სამეურნეო საქმიანობას.

ქვიანის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მართალია, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ არაერთხელ იმსჯელა ამ საკითხზე, მაგრამ მდგომარეობა მაინც სავალალოა. ნ. კიწმარიშვილი რიხიანი დაპირებებით ჰკვებავს რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა განახორციელონ სოფელ ქვიანის სასოფლო-სამეურნეო არტელში შექმნილი სერიოზული მდგომარეობის სწრაფად გამოსწორებისათვის.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# წერილები რედაქციას

## რატომ არა გვაქვს რადიო?

ვისაც გაუვლია თბილისის 26 კომისრის რაიონში 5 დეკემბრის ქუჩაზე, მის ყურადღებას მიიპყრობდა ახალი ლამაზი საცხოვრებელი სახლი № 25. ეს ხუთსართულიანი შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1950 წელს და გამოირჩევა როგორც ფასადის არქიტექტურული გაფორმებით, ისე ბინების გეგმიანი და მოხერხებული განლაგებით. ამიტომ არის, რომ მცხოვრებლები დიდი კმაყოფილებით და პატივისცემით იხსენებენ ამ სახლის მშენებლებს.

მაგრამ ამ შესანიშნავ სახლს აქვს ერთი ნაკლი — იგი არ არის რადიოფიცირებული. ჩანს, მშენებლებს რადიოფიცირების საკითხი „მხედველობიდან გამორჩათ", ხოლო უწყების ადმინისტრაცია, რომელსაც ეს სახლი ეკუთვნის, თავს არ იწუხებს მის მოსაგვარებლად.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი ადგილი და კუთხე, რომელიც რადიოფიცირებული არ იყოს, ამ დიდ შენობაში რადიოსატრანსლაციო ქსელის გაუყვანლობა მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. უწყების ხელმძღვანელთა წინაშე მრავალჯერ დავსვით სახლის რადიოფიცირების საკითხი, მაგრამ მხოლოდ დაპირებას გვაძლევენ, საქმეს კი არავინ აკეთებს.

მოვითხოვთ სასწრაფოდ ზომების მიღებას ჩვენი სახლის რადიოფიცირებისათვის.

პ. ერაძე, შ. ნახუცრიშვილი,
ვ. სახოკია,
5 დეკემბრის ქ. № 25 სახლის მცხოვრებნი.

## საჭიროა რკინაბეტონის კედლის ამოყვანა

მცხეთის მიდამოებში საქართველოს სამხედრო გზატკეცილი ისე ახლოს გადის მტკვრის ნაპირთან, რომ ზამთრის პერიოდში, განსაკუთრებით ყინვების დროს, არის ხოლმე მანქანის მდინარეში გადავარდნის შემთხვევები.

უბედური შემთხვევები რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა გზას მდ. მტკვრის მხრიდან ამ ადგილას გაუკეთდეს ერთი მეტრი სიმაღლის რკინაბეტონის საყრდენი კედელი დაახლოებით 500-600 მეტრ სიგრძეზე.

კარგი იქნება, თუ გზატკეცილების მთავარი სამმართველო გაითვალისწინებს ამ შენიშვნას და 1957 წლის გეგმაში შეიტანს მცხეთასთან გზატკეცილის მარჯვენა მხარეზე რკინაბეტონის კედლის მშენებლობას.

ნ. მამულაშვილი,
მცხეთის სატყეო მეურნეობის უფროსი ინჟინერი.

## არღვევენ მატარებლის მოძრაობის გრაფიკს

რკინიგზის გორის სადგურის მუშაკები ხშირად არღვევენ გრაფიკს და სახალხო მატარებელს გორი—სტალინირი დაგვიანებით გზავნიან. მაგალითად, 14 დეკემბერს მატარებელი გორიდან ერთი საათის დაგვიანებით გავიდა, სადგურის მორიგემ შ. კაჯილაშვილმა კი მატარებელთა გავლის აღრიცხვის ჟურნალში გრაფიკით დადგენილი დრო ჩაწერა.

გრაფიკის დარღვევა გამოწვეულია იმით, რომ წამყვან ორთქლმავლებს სადგურში სამანევრო სამუშაოებზე აყენებენ და როცა მოესურვებათ, მაშინ მოუბამენ წასაყვან სახალხო მატარებლებს.

იგივე მატარებელი, როცა სტალინირიდან უკან ბრუნდება, ხშირად იგვიანებს და სტალინირიდან მიმავალი მგზავრები ვერ უსწრებენ თბილისის მატარებელს. ამის გამო ისინი იძულებული ხდებიან შემდეგ საათობით ელოდონ სხვა მატარებელს.

როგორც ჩანს, გორის სადგურის მუშაკები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ მგზავრთა მომსახურების საქმეში, ხოლო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო სათანადო კონტროლსა და ზედამხედველობას არ უწევს მათ.

ი. თევდორაშვილი.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის ვ. თუმანიშვილის მიერ განათლების დარგის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენის შესახებ სწერდა რედაქციას ჩვენი გაზეთის მკითხველი.

მამხილებელი წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კპ ქუთაისის რაიონულ კომიტეტს. გამოკვლევის შედეგად წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. განათლების განყოფილების გამგეს ვალერიან ალექსანდრეს-ძე თუმანიშვილს მოსწავლეთა შორის გადიდებულ ფასებში გაკვეთილების დასტამბული ცხრილის და სამკერდე ნიშნების რეალიზაციისათვის რაიკომის ბიურომ გამოუცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. გარდა ამისა, თუმანიშვილი განთავისუფლებულია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილისა და განათლების განყოფილების გამგის თანამდებობიდან.

რაიკომის ბიურომ სასჯელი დაადო აგრეთვე განათლების განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ძიძიგურს, ინსპექტორ ჯიშკარიანს და პროფკავშირის ქუთაისის რაიკომის თავმჯდომარეს ხაზარაძეს.

* * *

სოფლკორები ცხაკაიას რაიონიდან გვწერდნენ, რომ სოფელ ნაქალაქევში კლუბის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს, მასობრივი მუშაობა ჩაშლილია.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ ნაქალაქევის სასოფლო საბჭო მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აგებს სასოფლო კლუბის ახალ კაპიტალურ შენობას. მშენებლობა მალე დამთავრდება.

# მხატვრული ხელოსნობის კადრების სამჭედლო

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ თბილისში დაარსდა შრომითი რეზერვების მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც მხატვრული ხელოსნობის დარგში ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობებს უმზადებს მაღალკვალიფიციურ ოსტატ-შემსრულებელთა კადრებს. სასწავლებელში მშენებლობათა მოთხოვნილების შესაბამისად შექმნილია მეალფრეინე — ფერმწერალთა, ქვაზე მხატვრული ჭრის, მეავეჯეთა, მძერწავ-მემოდელეთა, რესტავრატორთა, დეკორაციული სამუშაოს შემსრულებელთა სპეციალობის განხრები.

სასწავლებელმა საწარმოო სწავლების გამოცდილი ოსტატების, მასწავლებლების, არქიტექტორებისა და მხატვრების ენერგიული მუშაობის შედეგად დღემდე მოამზადა და ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობებს მისცა მხატვრული ხელოსნობის საქმის 683 ახალგაზრდა ოსტატ-შემსრულებელი, მათ შორის: 139 მძერწავი-მემოდელე, 201 მეალფრეინე-ფერმწერალი, 167 მეავეჯე, 137 ქვის მხატვრულად დამმუშავებელი, 12 ხეზე მხატვრულად მჭრელი, ლითონში მხატვრულ ნაკეთობათა 15 ჩამომსხმელი და ძვირფას მასალაში ჭედილობისა და გრავირების 12 ხელოსანი.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლა ფართოდ იცნობენ სასწავლებლის მიერ გამოშვებულ ახალგაზრდა ოსტატებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ისეთ მნიშვნელოვან ნაგებობათა არქიტექტურულ და სხვა გაფორმებებში, რომლებიც თავისი მაღალი მხატვრული ღირსებით ამშვენებენ როგორც ჩვენს დედაქალაქ თბილისს, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს. მრავალთაგან ასეთ ქმნილებებს ეკუთვნიან საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ახალი კორპუსი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა, რკინიგზის სოხუმის ვაგზლის შენობა, თბილისის კავშირგაბმულობის სახლი და სხვ.

სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა თავდადებით შრომობს თბილისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისში, წყალტუბოში, გორში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ბევრია მუყაითი და ენერგიული კურსდამთავრებული ახალგაზრდა ოსტატი, რომლებმაც ასახელეს მშობლიური სასწავლებელი. მათ რიცხვს ეკუთვნიან: გ. ბაგრატიონი, გ. კერესელიძე, ა. ქარუმიძე, გ. ჩიტიაშვილი, გ. ჯიქურიძე და სხვ. ისინი დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საწარმოო სწავლების პროცესში სასწავლებელს კავშირი აქვს რესპუბლიკის სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციასთან და ასრულებს ამავე ორგანიზაციების სამუშაოებს. მაგალითად, მოსწავლეებმა საჩხერის საბჭოს კულტურის სახლში მაღალხარისხოვნად შეასრულეს 85.000 მანეთის ღირებულების საალფრეინო-ფერწერითი სამუშაოები, რასაც სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები, ამჟამად საწარმოო სწავლების ოსტატები შ. ასხაბაძე, ა. უგულავა და გ. ალადაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

ახალგაზრდა ოსტატ შ. ასხაბაძის ჯგუფმა, რომელშიც 25 მოსწავლე ეუფლება საალფრეინო სამუშაოების ტექნიკას, წარმატებით შეასრულა თბილისის № 6 სახელოსნო სასწავლებლის შენობის შიგნითა სათავსოების მხატვრული გაფორმება. მონდომებით ეუფლებიან პროფესიას მძერწავ-მემოდელეთა ჯგუფების მოსწავლეები, რომელთა საწარმოო სწავლებას ოსტატი მოქანდაკეები ლ. ფოფხაძე და ა. ჭუმბურიძე ხელმძღვანელობენ.

საწარმოო სწავლების ოსტატთა ენერგიული მუშაობის შედეგად სწავლების პროცესში მოსწავლეებმა 1956 წელს გამოუშვეს და სახელმწიფოს მისცეს 150.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია. სასწავლებელი ჩაბმულია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით ინარჩუნებს შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებს შორის სსრ კავშირის მასშტაბით მეორე ადგილს.

მოსწავლეები საწარმოო სწავლებასთან ერთად დიდი ინტერესით ეუფლებიან ხატვას, ხაზვას, კომპოზიციის საფუძვლებს, სამშენებლო მასალათმცოდნეობას, სტილების ისტორიას, ფერწერას და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. თეორიულ სწავლებაში თავიანთი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან მასწავლებლები — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. გომელაური, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი არქიტექტორი ა. კრავჩენკო, არქიტექტორები ნ. ყარალაშვილი და თ. თათაროვა, მოქანდაკეები ი. კერესელიძე, ლ. ფოფხაძე, ვ. ბოტკოველი და ა. ჭუმბურიძე, მხატვრები ალ. ზედელაშვილი, ა. კოჯოიანი, ი. მდივანი, ო. კეჩხუაშვილი, მასწავლებლები ა. იორაშვილი, ნ. აბრამიშვილი, ვ. გუჯაბიძე და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. გ. კალანდაძე ამ სასწავლებლის დაარსების დღიდანვე თავდადებულად შრომობს მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად. გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, გ. კალანდაძე დიდ ენერგიას ხარჯავს სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთათვის სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. კერძოდ, 1955 წელს გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" გამოსცა მისი წიგნი „ხაზვის კურსი", რომელიც ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში წარმოადგენს პირველ ცდას, როგორც საარქიტექტურო-სამშენებლო ხასიათის ხაზვის სახელმძღვანელო.

გ. კალანდაძის წიგნს „ხაზვის კურსს" თუმცა ახასიათებს ნაკლოვანებანი, მაგრამ მშობლიურ ენაზე საარქიტექტურო-სამშენებლო საქმეში სახელმძღვანელოს შექმნით ავტორმა ძირითადად მიაღწია მიზანს. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ თუ მას გულისხმიერ დახმარებას გავუწევთ წიგნის ნაკლოვანებებზე საქმიან და გულწრფელ მითითებათა მიცემით ის ნამდვილად შეძლებს გადაწყვიტოს რთული ამოცანა — შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობას მისცეს ამ დარგში მეტად საჭირო სახელმძღვანელო.

აღსანიშნავია, რომ შრომითი რეზერვების სისტემის სასწავლებლებსა და სკოლებს, კერძოდ თბილისის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელს მშობლიურ ენაზე არ მოეპოვება სახელმძღვანელოები ისეთ წამყვან საგნებში, როგორიც არის ხისა და ქვის სპეციალური ტექნოლოგია, მასალათმცოდნეობა, კომპოზიციის საფუძვლები, სტილთა ისტორია, ძერწვა-მოდელირების საქმე და სხვ. ამ საგნებში სახელმძღვანელოების შექმნა გადაუდებელი ამოცანაა.

სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი მჭიდროდ არის დაკავშირებული რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან, რომლებიც თავიანთი მხრივ დიდ დახმარებას გვიწევენ. მათ რიცხვს ეკუთვნიან ხელოვნების და არქიტექტურის დარგში მომუშავენი — პროფესორები შ. ამირანაშვილი, ა. ქურდიანი, ქ. მერაბიშვილი, უ. ჯაფარიძე, არქიტექტორი მ. შავიშვილი, არქიტექტურულ მეცნიერებათა კანდიდატი ირ. ციციშვილი, დოც. მ. ჩხიკვაძე, ხელოვნებათმცოდნე მ. დუდუჩავა, მოქანდაკე ვ. თოფურიძე, მხატვარი ვ. ვეფხვაძე, და სხვ.

სასწავლებელი ქმედით დახმარებას მოითხოვს აგრეთვე რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებისაგან. როგორც ეს სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული, მოსწავლე გარდა სასწავლებლის საამქროში მიღებული ცოდნისა, მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს წარმოებასთან.

საჭიროა ჩვენს სასწავლებელს მეტი დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა და არქიტექტურისა და ხელოვნების დარგში მომუშავე დაწესებულებებმა.

გ. გოგოლაშვილი,
თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი.

## გ. კ. ჟუკოვი ინდოეთში

უტაკამუნდი, 4 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, რომელიც ინდოეთში მოგზაურობს, კოჩინიდან კოიმბატორში ჩავიდა.

კოიმბატორში აეროდრომზე მარშალ გ. კ. ჟუკოვს შეხვდნენ მადრასის შტატის მინისტრები და ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მარშალს განსაკუთრებით გულითადი შეხვედრა მოუწყეს კოიმბატორის მცხოვრებლებმა. იმავე დღეს გ. კ. ჟუკოვი ქალაქ უტაკამუნდში ჩავიდა.

კოჩინიდან გაფრენის წინ პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტოს კორესპონდენტმა მარშალს სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ფელდმარშალ პაულიუსის გარდაცვალების ცნობისათვის. გ. კ. ჟუკოვმა თქვა, რომ როცა მან პაულიუსის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მოაგონდა ფაშისტური გერმანიის აგრესია 1941 წელს. ამავე დროს, თქვა მარშალმა, არ შემიძლია ღირსეულად არ შევაფასო პირადად პაულიუსი, როგორც მეტად გამოცდილი სარდალი. მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, აგრეთვე მთელ რიგ სხვა ადგილებში, გერმანელთა ჯარების დამარცხების შედეგად, თქვა გ. კ. ჟუკოვმა, და განსაკუთრებით ფაშისტთა არმიების განადგურების შემდეგ, პაულიუსმა ბევრი რამ ახლებურად შეაფასა და შეიგნო, თუ როგორია გერმანელი ხალხის ნამდვილი ინტერესები, ვინ არის მისი ნამდვილი მეგობარი და ვინ — ნამდვილი მტერი. მე მგონია, რომ გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებსაც კვლავ იწვევენ ვერმახტში, ისევე როგორც დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა, ახლა, პაულიუსის გარდაცვალების დღეს, სერიოზულად დაუფიქრდებიან იმას, თუ საით მიჰყავს ისინი ადენაუერის პოლიტიკას.

დელი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, დღეს დილით სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და მისი თანმხლები პირები ჩავიდნენ ველინგტონში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ინდოეთის თვალწარმტაც მთიან რაიონში. მარშალს შეხვდნენ სამხედრო კოლეჯის უფროსი გენერალ-მაიორი ვიანი, კოლეჯის ოფიცრები და მასწავლებლები.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის საკითხის განხილვა.

2 თებერვლის პლენარულ სხდომებზე გამოვიდნენ ლ. ე. კიზია (უკრაინის სსრ), ლოჯი (ამერიკის შეერთებული შტატები), ულრიხი (ჩეხოსლოვაკია), პირსონი (კანადა), კრიშნა მენონი (ინდოეთი), ნობლი (ინგლისი), ფავზი (ეგვიპტე), კ. ვ. კისელიოვი (ბელორუსიის სსრ), მუჰამედ აჰმედი (სუდანი), საბჭოთა დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვები.

შემდეგ ასამბლეის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს დაიწყოს კენჭისყრა რეზოლუციათა ორი პროექტის გამო, რომლებიც განხილულ იქნა პლენარულ სხდომებზე. როგორც ცნობილია, რეზოლუციათა ეს პროექტები შედგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით და შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, კოლუმბიის, ინდოეთის, ინდონეზიის, ნორვეგიისა და იუგოსლავიის დელეგაციების სახელით.

რეზოლუციის პირველი პროექტი, იმოწმებს რა გენერალური ასამბლეის წინანდელ რეზოლუციებს, გმობს იმას, რომ ისრაელმა არ შეასრულა გადაწყვეტილებანი მისი ჯარების მთლიანად გაყვანის შესახებ და „მოუწოდებს ისრაელს დაუყოვნებლივ დაამთავროს თავისი ჯარების გაყვანა დაზავების ხაზს იქით"; რეზოლუციის მეორე პროექტი ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების განლაგებას ეგვიპტე-ისრაელის სადემარკაციო ხაზზე და სხვა ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა თავის მოხსენებაში.

სიტყვა აიღო რა სხდომის წარმართვის წესის გამო, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგი არ არის კენჭი ეყაროს პირველი რეზოლუციის პროექტს. რაც შეეხება მეორე რეზოლუციის პროექტს, მან შეიტანა წინადადება, რომ მისთვის კენჭისყრა გადაიდოს 5 თებერვლამდე. ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი ამ რეზოლუციისათვის აჩქარებით კენჭისყრა. მნიშვნელოვანი და სასწრაფო ახლანდელ პირობებში, თქვა მან, არის რეზოლუციის მიღება ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივი და სრული გაყვანის შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი. სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება ასამბლეამ არ მიიღო.

შემდეგ ასამბლეა შეუდგა რეზოლუციათა პროექტებისათვის კენჭისყრას.

პირველი რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნას ეგვიპტის ტერიტორიიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების სრული გაყვანის შესახებ, მიღებულ იქნა 74 ხმით. წინააღმდეგ ხმა მისცეს ისრაელისა და საფრანგეთის დელეგაციებმა.

მეორე რეზოლუციის პროექტს, რომელშიც გათვალისწინებულია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების" შეყვანა ეგვიპტესა და ისრაელს შორის სადემარკაციო ხაზის ორივე მხარეზე, ხმა მისცა 56 დელეგაციამ. 22 დელეგაციამ, მათ შორის ეგვიპტის, სუდანის, სირიის, ერაყის, იემენის, ტუნისის, მაროკოს, იორდანიის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის დელეგაციებმა, კენჭისყრაში თავი შეიკავა.

## რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები

ბუქარესტი, 3 თებერვალი. (საკდესი). პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა დღეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების არჩევნები.

სახალხო დემოკრატიის ფრონტის ცენტრალური საბჭოს მონაცემებით, დღის სამ საათზე მიცემული ჰქონდა ხმა ყველა ამომრჩევლის 75 პროცენტზე მეტს.

არჩევნების დღე დიდ დღესასწაულად გადაიქცა. ბევრი ხალხია ბუქარესტის ქუჩებში და მოედნებზე, რომლებიც მორთულია ალმებით, პლაკატებით და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პორტრეტებით. ისმის სიმღერა და მუსიკა. ყველგან სადღესასწაულო განწყობილებაა.

## იანოშ კადარის გამოსვლა ნოგრადის ოლქის პარტიული აქტივის კრებაზე

შალგოტარიანი, 3 თებერვალი. (საკდესი). ქალაქ შალგოტარიანში — უნგრეთის ქვანახშირის მრეწველობის დიდ ცენტრში — გუშინ გაიმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ნოგრადის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებას დაესწრო დაახლოებით 900 კაცი. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ.

ჩვენს პარტიას, თქვა მან, ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ ყოველ პატიოსან კაცს შეეძლო დაენახა და ყოველი პატიოსანი კომუნისტი ხედავდა, რომ უნგრეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი იყო მობრუნების, გარდატეხის მომენტი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. კონტრრევოლუციამ მრავალი წლის მზადების შემდეგ მოახდინა დარტყმა მაშინ, როცა დაინახა, რომ მას მოელოდა იმის საფრთხე, რომ პარტია თავის შეცდომებს გამოასწორებდა. დღეს აქ ესწრება 900-მდე კაცი. მაგრამ კრებისადმი ინტერესი ხომ უფრო მეტია, ჩვენ დამშვიდებით შეგვეძლო ეს კრება შენობაში კი არა, მოედანზე მოგვეწყო. და ჩვენ ბევრი მსმენელი გვეყოლებოდა.

ილაპარაკა რა უნგრეთის ამბების ხასიათზე, იანოშ კადარმა აღნიშნა, რომ უნგრეთში 23 ოქტომბერს სავსებით აშკარად დაიწყო კონტრრევოლუცია, რომელიც შენიღბულად გამოვიდა. ხომ არ შეეძლოთ ყოფილ კაპიტალისტებს აშკარად გამოსულიყვნენ და მასებისათვის ეთქვათ, რომ, წინათ კარგად ვცხოვრობდით, კარგად ვახერხებდით მშრომელთა ექსპლოატაციას, ამით ვმდიდრდებოდით და ახლა გთხოვთ ჩვენს წინანდელ ადგილზე დაგვაყენოთო. მათ, თქვა ი. კადარმა, თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენეს ჩვენი შეცდომები, ადამიანთა კანონიერი უკმაყოფილება. კონტრრევოლუციონერებმა მოახერხეს მოეტყუებინათ ძალიან ბევრი ადამიანი. სავსებით ცხადია, რომ ისინი ისახავდნენ მხოლოდ ერთ მიზანს — დაებრუნებინათ თავიანთი ძალაუფლება, აღედგინათ თავიანთი ძლიერება.

მაგალითად, კარდინალ მინდსენტის სურდა ეკლესიისათვის დაებრუნებინა 930 ათასი ჰოლდი მიწა (ჰოლდი უდრის 0,57 ჰექტარს).

ზოგი ვინმე, განაგრძო ი. კადარმა, ცდილობს დაამტკიცოს, რომ 23 ოქტომბერი იყო ეროვნული რევოლუციის დღე. ვნახოთ, თუ ვინ იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. 1919 წელს უნგრეთის დამოუკიდებლობისათვის იარაღით ხელში იბრძოდნენ შალგოტარიანელი წითელგვარდიელები. ამავე დროს ჰორტიმ და მისმა მსგავსებმა უნგრეთის დამოუკიდებლობა გაყიდეს და ანტანტას მიემხრნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს მათ კვლავ გაყიდეს ერის დამოუკიდებლობა. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ კომუნისტები. უნგრელმა ხალხმა კვლავ მოიპოვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის დახმარებით. განა დალესი და იდენი, აგრეთვე ფრანგი იმპერიალისტები, რომლებიც კოლონიურ ომს ეწევიან ალჟირში, უნგრელი ხალხის დამოუკიდებლობას იცავენ? მას იცავდნენ მეზე, ასტალოში და სხვა უნგრელი კომუნისტები, რომლებიც დაიღუპნენ უკანასკნელ თვეებში, იცავდნენ საბჭოთა მებრძოლები, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს უნგრეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ამბობენ, განაგრძო ი. კადარმა, რომ აქ არიან სხვისი ჯარები, გულისხმობენ რა საბჭოთა ნაწილებს. ეს სხვისი ჯარები როდია, ესენი არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნის შვილები, რომლებიც სწირავენ რა თავს, მოვიდნენ, რათა დაიცვან ჩვენი ქვეყანა და დაგვეხმარონ. საბჭოთა კავშირს არ სჭირდება სხვისი ტერიტორია. მას სჭირდება მშვიდობა. მას აქვს თავისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პროგრამა.

შეეხო რა პარტიის საკითხს, იანოშ კადარმა თქვა, რომ 24 ოქტომბერს პარტიული ხელმძღვანელობის რიგებში იყვნენ არა მარტო თავდადებული, თავიანთი საქმისა და თავიანთი იდეების ერთგული ადამიანები, არამედ იყვნენ აგრეთვე მოღალატენი. ეს იყო ტრაგედია.

დასავლეთში, განაგრძო ი. კადარმა, ჩვენ ძალიან გვლანძღავენ, და ეს კარგი ნიშანია. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ მივდივართ, თუნდაც დაახლოებით, სწორი მიმართულებით. თუ დასავლეთში ქება დაგვიწყეს ეს ნიშნავს: დადგა დრო გადავდგეთ.

ახლა, თქვა შემდეგ ი. კადარმა, ზოგნი აღშფოთებული არიან ზოგიერთი მწერლის დაპატიმრებით. ისეთი არამზადები, როგორიც არიან გაი, ზელკი და სხვები, ცდილობდნენ მწერალთა კავშირში კრებაზე დაეშინებინათ პატიოსანი მწერლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ უნგრეთში იყო კონტრრევოლუციური გადატრიალების მოხდენის ცდა, და თავის მხრივ ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო რევოლუცია. ასეთივე მდგომარეობა იყო ჟურნალისტთა კავშირში. ჩვენ სირცხვილით ვერ ვუწოდებდით ჩვენს თავს რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას, განაცხადა ი. კადარმა, ასეთი გამოსვლებისათვის რომ ბოლო არ მოგვეღო. მწერალი იქნება იგი თუ სხვა ვინმე, თუ მან ჩაიდინა დანაშაული ან გამოვიდა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, დამსახურებული სასჯელი უნდა მიიღოს.

ი. კადარმა განაცხადა, რომ მთავრობა ულმობლად იბრძოლებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ, თქვა მან, უნდა ვიყოთ ფხიზლად, უნდა ვიყოთ ფრთხილად. ჩვენი შეიარაღებული ძალები მტკიცედ უნდა იცავდნენ რევოლუციურ დისციპლინას და იჩენდნენ სიმტკიცეს კონტრრევოლუციონერთა, წესრიგის დამრღვევთა მიმართ.

შეეხო რა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანიზაციების ამოცანებს, იანოშ კადარმა თქვა, რომ ისინი უნდა მუშაობდნენ მშრომელთა იდეოლოგიურ აღზრდაზე, წარმოების ძირითად საკითხებზე, ხოლო მუშათა საბჭოები უშუალოდ უნდა ეწეოდნენ მუშაობას მშრომელებთან. მუშათა საბჭოებში უნდა იყვნენ კომუნისტები, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ისინი შეადგენდნენ დიდ უმრავლესობას.

დასასრულ ი. კადარი შეეხო უახლოეს პერსპექტივებს.

## კომუნიკე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XIII სესიის შედეგების შესახებ

პრაღა, 2 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის XIII სესიის შედეგების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია:

1 თებერვალს ოთხი დღის სხდომების შემდეგ პრაღაში მუშაობა დაამთავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის XIII სესიამ.

აღმასკომმა კვლავ განიხილა მდგომარეობა, რომელშიც ჩაღდება ამჟამად პროფკავშირული მოძრაობა და, გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, დასახა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მომავალი ამოცანები და საქმიანობის ხასიათი პროფკავშირთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესისათვის მზადების ჩარჩოებში. საერთო რეზოლუცია ამ საკითხზე, რომელიც დღის წესრიგის პირველი პუნქტია, აღმასკომმა ერთსულოვნად მიიღო. მეოთხე კონგრესის მოწვევასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მიმართვა მშრომელებისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი.

აღმასკომმა დაამტკიცა აღმასრულებელი ბიუროს გადაწყვეტილება, რომ მეოთხე კონგრესი მოეწყოს 4-დან 14 ოქტომბრამდე ქალაქ ლაიპციგში. მან განიხილა აგრეთვე პროფკავშირული მოძრაობის მდგომარეობა ლათინურ ამერიკაში და უფრო კონკრეტულად — ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციაში. მან მიიღო ტექსტი დეკლარაციისა კაპიტალისტურ და სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირთა და მშრომელთა ახლანდელი ეკონომიური და პოლიტიკური საქმიანობის შესახებ.

აღმასკომმა დაამტკიცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის 1957 წლის ბიუჯეტი. მან ცნობად მიიღო მოხსენება ტრანსპორტის, ნავსადგურებისა და თევზის მრეწველობის მშრომელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენციისათვის მზადების მსვლელობის შესახებ; ამ კონფერენციას იწვევს პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანება — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია და აღმასკომმა გადაწყვიტა სრული დახმარება გაუწიოს მას.

აღმასკომმა განიხილა პრინციპები მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციისა, რომლის მოწვევა გათვალისწინებულია 1958 წლისათვის. აღმასკომმა დაამტკიცა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის იმ ხელმძღვანელი კომისიის შემადგენლობა, რომელიც შეიქმნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებით სოფიაში გასული წლის სექტემბერში. დასასრულ აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება დადებითი პასუხი გასცეს თხოვნაზე, რომელიც შეეხება კამერუნის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის მიღებას (შესვლას) პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წევრად.

საერთო რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია დღის წესრიგის პირველ პუნქტზე, უნდა აღინიშნოს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებიან ალჟირს და იმას, რომ კვირა ამა წლის 7-დან 14 აპრილამდე გადაიქცეს ალჟირის მშრომელებთან და ხალხთან სოლიდარობის კვირად, საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის ბრძოლის, ალჟირელი ხალხის იმ უფლების აღიარების კვირად, რომ განაგებდეს თავის ბედს. ამ კვირამ ხელი უნდა შეუწყოს ალჟირელ ხალხთან სოლიდარობის ახალი მოძრაობის ორგანიზაციას.

კაპიტალისტურ და სუსტად განვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირთა და მშრომელთა ახლანდელი ეკონომიური და სოციალური საქმიანობის შესახებ დეკლარაცია განიხილავს ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებს, რომლებიც დასახულია მშრომელთა წინაშე, ცხადყოფს, თუ როგორ აწარმოებენ ახალ შეტევას მეწარმეები და მთავრობები მუშათა კლასის ცხოვრების პირობების წინააღმდეგ, და აღნიშნავს, რომ მშრომელებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა „უნდა გააძლიერონ თავიანთი ერთობლივი მოქმედება მათი ცხოვრებისა და შრომის პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისათვის".

შემდეგ დეკლარაცია ჩამოთვლის ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამჟამად მშრომელთა მოქმედებას:

„ხელფასისა და მისი ყიდვითი უნარიანობის გადიდება, უარის თქმა ხელფასის გაყინვისა და შემცირების ყოველგვარ პოლიტიკაზე, ხელფასის გარანტირებული მინიმუმის საკმაო მაღალ დონეზე დამყარება; სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირება ისე, რომ არ შემცირდეს ხელფასი და, კერძოდ, 40 საათის სამუშაო კვირის შემოღება ინდუსტრიულ ქვეყნებში, ბრძოლა დათხოვნების, ნაწილობრივი უმუშევრობის და საწარმოთა დახურვის წინააღმდეგ; დადება კოლექტიური ხელშეკრულებებისა, რომლებიც ხელს შეუშლიდა მეწარმეებს თვითნებურად შეცვალონ შრომის ანაზღაურების ფორმები და პირობები წარმოების ახალი მეთოდების ან შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების შემოღებისას; დისკრიმინაციის აღმოფხვრა ხელფასისა და შრომის პირობების დარგში, რაც განსაკუთრებით ეხება მშრომელ ქალებსა და ახალგაზრდობას; სოციალური დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება და გაფართოება, კერძოდ პენსიების სისტემის შექმნა ან მათი გადიდება იქ, სადაც ისინი არსებობენ; ავადმყოფობის დროს დახმარების შემოღება ან გადიდება, ყველა უმუშევრისათვის უმუშევრობის დროს დახმარების მიცემა, რაც საკმაო უნდა იქნეს მშრომელთა და მათი ოჯახების საჭიროების დასაკმაყოფილებლად როგორც სრული, ისე ნაწილობრივი უმუშევრობის პირობებში; მუშებისათვის საბინაო მშენებლობის პროგრამის განხორციელება; ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარება და ინდუსტრიალიზაცია, მათი ბუნებრივი რესურსების გამოყენება ეროვნული ინტერესებისათვის, მათ მიერ თავიანთი ეკონომიური და სავაჭრო პოლიტიკის თავისუფალი განსაზღვრა, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მყიდველობითი უნარის ამაღლება."

დეკლარაცია მოუწოდებს მშრომელებს გააძლიერონ და გააფართოონ მოქმედების ერთიანობა მათი მოთხოვნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პრაღა, 1957 წლის 2 თებერვალი.

## დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაციის სსრ კავშირში ჩამოსვლის გამო

საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ო. ვ. კუუსინენმა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს პროფესორ ერიხ კორენსს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ხელმძღვანელობს რა გერმანელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის მეგობრობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისადმი მისწრაფებით, საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფი მოხარული იქნება 1957 წლის თებერვალში სსრ კავშირში მიიღოს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაცია საბჭოთა ხალხის ცხოვრების გასაცნობად.

მადლობელი ვიქნებით, თუ შეგვატყობინებთ ჩვენი მოწვევის მიღებას და მოსკოვში თქვენი დელეგაციის ჩამოსვლის მისაღებ დროს.

პროფესორმა ე. კორენსმა საპასუხო დეპეშით ო. ვ. კუუსინენს აცნობა:

„დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი სიხარულითა და მადლობით მიიღო თქვენი მეგობრული მიწვევა სსრ კავშირში გაგზავნოს დელეგაცია მეგობრობის ვიზიტით.

ჩვენ გვსურს გთხოვოთ რომ ჩვენს დელეგაციას მოსკოვში ელოდეთ თებერვლის მეორე ნახევარში. ბერლინიდან დელეგაციის გამგზავრება დასახულია 16 თებერვლისათვის".

## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ხელს უშლის ამერიკელ სპორტსმენთა საერთაშორისო თანამშრომლობას

24 თებერვალს მოსკოვში დაიწყება შეჯიბრება მსოფლიოს და ევროპის პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში.

ამ შეჯიბრებას ჰოკეის საერთაშორისო ლიგის დავალებით აწყობს სსრ კავშირის ჰოკეის სექცია.

როგორც პირველობის ორგანიზატორმა, საბჭოთა კავშირის ჰოკეის სექციამ შეჯიბრებაზე მოიწვია ჰოკეის ეროვნული ფედერაციების გუნდები, რომლებიც ჰოკეის საერთაშორისო ლიგის წევრები არიან. ამჟამად მონაწილეობის შესახებ განაცხადები უკვე მიღებულია მთელი რიგი ქვეყნებიდან, რომელთა გუნდები 1956 წელს მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს, ევროპის პირველობაში და VII ოლიმპიურ ასპარეზობაში, რომელიც იტალიაში გაიმართა.

ამ დღეებში სსრ კავშირის ჰოკეის სექციამ ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეის ასოციაციის ხელმძღვანელობისაგან ბოსტონიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვწუხვართ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა გვაცნობა, რომ არ აძლევს ვიზას ჩვენს გუნდს რუსეთში გამოსამგზავრებლად ჰოკეისტთა მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობისათვის. ბოდიშს ვიხდით. სალამი".

ჰოკეის სრულიად საკავშირო სექციისა და საბჭოთა ჰოკეისტებს მიაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უარი — მისცეს ამერიკელ სპორტსმენებს გამოსამგზავრებელი ვიზები არის სახელმწიფო დეპარტამენტის უხეში წინააღმდეგობა ამერიკელ სპორტსმენთა გულწრფელი სურვილისადმი განავითარონ საერთაშორისო თანამშრომლობა და დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა სპორტსმენებთან.

ჰოკეის სრულიად საკავშირო სექცია იზიარებს ამერიკის ჰოკეის ასოციაციის მწუხარებას იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტებს აუკრძალეს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა.

## სუეცის ავანტიურის შედეგები

### მაკმილანის აღიარება

ლონდონი, 2 თებერვალი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ სადილზე, რომელიც კონსერვატიული პარტიის ორგანიზაციამ მოაწყო ბრომლში (საარჩევნო ოლქი, რომელსაც ახლანდელი პრემიერ-მინისტრი პარლამენტში წარმოადგენს), მაკმილანმა ყურადღება მიაქცია სერიოზულ სიძნელეებს, რომელთა წინაშე ინგლისი დგას. პრეს ასოშიეიშნის სააგენტოს ცნობით, მაკმილანმა განაცხადა, რომ ახლანდელი დრო ინგლისისათვის მოგვაგონებს 1940 წლის დღეებს. „ჩვენ ძნელ მდგომარეობაში ვართ, — თქვა პრემიერ-მინისტრმა. — ბევრი უსიამოვნება მოგველის...".


### დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტოსკა (ნ. ვალაცის მონაწილეობით), რუსთაველის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, მარჯანიშვილის სახელობის — სამი ბულბულის ქუჩა № 17, გრიბოედოვის სახელობის — ხეები კვდებიან ზეზეულად, სომხური დრამის — საიათნოვა, მუსიკალური კომედიის — ახალი სიმღერა, თოჯინების ქართული — ნუკრი (10 ს.).

### კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, სპარტაკი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — კნოპკა და ანტონი, საქართველო (წითელი დარბაზი) — ამერიკელი ძია, ოქტომბერი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — ბირაჯ ბახუ, ოფიცერთა სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — უგზოუკვლოდ დაკარგული, 26 კომისრის სახელობის, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — ყოჩაღი ხარ, ანიტა! სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი — კარნავალის ღამე, კოლხიდა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — სიყვარული და მოვალეობა, კომკავშირელი — მაგდანას ლურჯა, დიდუბე — ტყუპთა ოინები, კოლმეურნე — ბატონი 420 (I და II სერია), კიროვის სახელობის პარკი — ბაში-აჩუკი.


## გ. გაბაშვილისა და ი. ნიკოლაძის ნამუშევრების გამოფენა



[illegible]

ხიბლავ პეიზაჟებს, საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველ სურათებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები — „ხევსურები სადარაჯოზე", „ალავერდობა", „ბრძოლა არხოტში", „ხევსურები დღეობაში" და სხვ.

დიდი რეალისტური ოსტატობით, ფერებისა და კომპოზიციის მკვეთრი შეგრძნებით არის შესრულებული გამოფენაზე წარმოდგენილი „ბაზარი სამარყანდში" და „დივან ბეგის აუზი".

არ შეიძლება არ მიგიპყროთ „დე-როზასა" და „უცნობი ქართველი თავადის" პორტრეტებმა, რომლებიც გაბაშვილის პორტრეტული შემოქმედების მწვერვალებს წარმოადგენენ.



ამ დღეებში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გ. გაბაშვილის ნახატების გამოფენა. აქ მრავლად არის წარმოდგენილი დიდი მხატვრის ნამუშევრები, შესრულებული როგორც ადრე, ისე მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, რაც დამთვალიერებლებს ნათელ წარმოდგენას აძლევს მხატვრის შემოქმედების განვითარებაზე.

ჩვენს წინ მრავალი ჟანრის ნაწარმოებებია. აი ცნობილი „სამი მოქალაქის" პორტრეტი, რომელიც თავისი ოსტატური შესრულებით მხატვრის პირველ შედევრად ითვლება.

გაბაშვილი ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ქმნიდა მომ-

ამავე დარბაზში გამოფენილია ნამუშევრები საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, გამოჩენილი მოქანდაკის ი. ნიკოლაძისა, რომელიც სამართლიანად ითვლება საქართველოში რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლად. მან თავისი შემოქმედებით არა მარტო აღადგინა ქართული ქანდაკების შეწყვეტილი განვითარება, არამედ კიდევაც გაამდიდრა იგი ახალი თემებით, ახალი ჟანრებით შექმნა ნამდვილი რეალისტური სკოლა, რომლის საფუძველზე აღიზარდა მრავალი ნიჭიერი მოქანდაკე.

გამოფენაზე წარმოდგენილია ი. ნიკოლაძის მრავალი პორტრეტული ნაწარმოები, რომელთა ნახვა ადამიანს აღტაცებაში მოიყვანს. ყოველი მისი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია ადამიანური განცდების შესანიშნავი გამოსახვა. აი თუნდაც აკაკი წერეთლის პორტრეტი. ქვაში გამოკვეთილი ეს ნაწარმოები იმდენად ძლიერია, რომ უყურებთ და გგონიათ უსმენთ პოეტს, რომელიც კითხულობს სტრიქონებს „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო".

აქვეა ნიკოლაძის „ჩახრუხაძე — XII ს. მოაზროვნე", რომელიც სამართლიანად ითვლება ნიკოლაძის ერთ-ერთ ბრწყინვალე ნაწარმოებად. გამოჩენილმა მოქანდაკემ შეძლო მასში ეჩვენებინა მოაზროვნე ადამიანის ტიპიური სახე.

დამთვალიერებლების ყურადღებას იპყრობს „ვ. ლენინი „ისკრის" პერიოდში", „დიადი ჭაბუკი", ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის, ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის და სხვ. პორტრეტები.

გამოფენას ყოველდღიურად მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათებზე: (ზევით) გამოფენის ერთ-ერთი კუთხე. (ქვევით) ი. ნიკოლაძის ქანდაკება — „ჩახრუხაძე — XII ს. მოაზროვნე".

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

მძაფრ და საინტერესო ბრძოლაში განვლო სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის პირველმა ნახევარმა. 10 ტურის პარტიებმა ცხადყო საბჭოთა მოჭადრაკეების თამაშის მაღალი ოსტატობა, შესანიშნავი ბრძოლისუნარიანობა, ნებისყოფა.

4 თებერვალს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გურგენიძისა და სტოლიარის პარტია გადადებული იყო დაახლოებით თანაბარ პოზიციურ მდგომარეობაში. ამ პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა კერეს-არონინის, ბანიკ-ანტოშინის, ბრონშტეინ-სპასკის, ხოლმოვ-ბოლესლავსკისა და ტაიმანოვ-ნეჟმეტდინოვის პარტიები. პეტროსიანმა მოუგო ტარასოვს. ტოლუშმა გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მან დაამარცხა ხასინი.

ამრიგად, ათი ტურის შემდეგ გათამაშების ლიდერია გროსმაისტერი ტოლუში, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. სპასკიმ და ტალმა ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა შეაგროვეს. პეტროსიანს, ბრონშტეინსა და ხოლმოვს ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


### ტელევიზორების მფლობელთა საყურადღებოდ

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საკავშირო სახელმწიფო რადიოტრესტის სატელევიზიო ატელიე აწარმოებს ტელევიზორებისა და ანტენების დადგმას, აწყობას და შეკეთებას.

ტელევიზორების აწყობა და შეკეთება წარმოებს სატელევიზიო ატელიეს მუშაკთა მიერ უფასოდ საგარანტიო ვადით (ექვსი თვის) განმავლობაში, დილიდან შეძენისა.

მოქალაქენო! აიყვანეთ აღრიცხვაზე თქვენი ტელევიზორები სატელევიზიო ატელიეში და ისარგებლეთ უფასო მომსახურებით.

ნუ დაუშვებთ ტელევიზორების და ანტენების შეკეთებასა და აწყობაზე იმ პირებს, რომლებსაც არ ექნებათ პირადი მოწმობა გაცემული სატელევიზიო ატელიეს მიერ.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, ტელეფონი № 3-16-17.

მოქალაქე მარიამ მიხეილის ასულმა ზელენსკაიამ, მცხოვრებმა მერკვილაძის ქ. № 16, აღძრა საქმე ნანეიშვილის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე ვლადიმერ სერგის-ძე კაპიტონოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.


შვილები ლუბა, დავით, მერო, თამარ, რძალი შურა, სიძეები გ. ჯანელიძე, მ. სულაბერიძე ოჯახებით იუწყებიან

**ნესტორ საბას-ძე ჯიშკარიანის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-II, 5 ს. ქ. სამტრედიაში, გამოსვენება ბინიდან, კალინინის ქ. № 47.

მეუღლე ლუბა, შვილები ომარ, ჯემალ, ძმები ოთარ, ნოდარ, დავით დარახველიძეები იუწყებიან

**ვალერიან სიმონის-ძე დარახველიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 124.

მეუღლე თამარ, შვილი ნესტორ, და ელენე, ძმა ტრიფონ, რძლები ლენა, ნინო წერეთლები ოჯახებით იუწყებიან

**სიმონ ნესტორის-ძე წერეთლის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 5 ს. ლენინგრადის ქ. № 1.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება პოეტ

**გრიგოლ ისიდორეს-ძე იმედაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 3 ს. ა. წერეთლის ქ. № 1/2.

დედა ნინო, მამა სერგო, დები ზინა, თინა, ეკატერინე, მერი, სიძეები დ. გოგორიშვილი, გ. დოლიძე, გ. მეგრელიშვილი, გ. გამყრელიძე ოჯახებით იუწყებიან

**რუსუდან სერგოს ასულ მახარაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 4 ს. ლელაშვილის შესახვევი № 3.

დედა სევასტი, მეუღლე ქეთევა, დები კლავდია, ვარა, სიძე ბ. ჯაფარიძე ნათესავებით იუწყებიან

**სოსო მალაქიას-ძე ქორქაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-II, 8 ს. გამოსვენება 7-II, 4 ს. მიჩურინის ქ. № 56.

მშობლები საშა, დავით, დები ნანული, ნუნუ იუწყებიან

**თამაზ დავითის-ძე ყველაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 7 ს. გამოსვენება 9-II, 4 ს. დაისის ქ. № 16.

შვილები ზოია, ქეთო, მარგო, სიძეები ა. ელავა, ი. მელია ოჯახებით იუწყებიან

**ტერეზია ყარამანის ასულ ფალავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8-II, 7 ს. გამოსვენება 9-II, 4 ს. კოოპერაციის ქ. № 26.



პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.